**სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი**

ე.მინდელის N7
0186 თბილისი, საქართველო
+995 591 12 31 23
emscinfo@moh.gov.ge

16 დეკემბერი 2025

EMSC 8 25 01441562

**სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს**

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ საგანგებო სიტუაციის კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 2024 წლის 11 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის პერიოდის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.
„სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ საგანგებო სიტუაციის კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 10 მაისის N44 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი თინათინ გურამიშვილი.
2024 წლის 11 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავიდან გამომდინარე წარმოდგენილ იქნა 12 განცხადება (საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე ცენტრში შემოვიდა 0 განცხადება). ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ცენტრში შემოსული განცხადებები, უმეტესწილად, შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი მრავალ მოთხოვნას. წარმოდგენილი განცხადებებიდან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი რეაგირება განხორციელდა ყველა მოთხოვნაზე. დასაბუთებული უარი ეთქვა 2 განმცხადებელს, ნაწილობრივ უარი 2 განმცხადებელს (აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი). კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. ცენტრის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას. ცენტრში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის

ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. ზემოაღნიშნულ პერიოდში ცენტრის თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა. ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები ცენტრს არ გაუწევია.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი
ნიკოლოზ ჩიქოვანი